

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მათემატიკა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>ა) მოამზადოს მათემატიკის ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებში ფართო ცოდნისა და ანალიტიკური აზროვნების მქონე ბაკალავრები, რომლებსაც შეეძლებათ მათემატიკურ და არამათემატიკურ დარგებში წარმოქმნილი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გაგება, ანალიზი, შეფასება და გადაწყვეტა;</p> <p>ბ) კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებას, ეკონომიკის, ბიზნესის, ინჟინერიის, ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო-კვლევით პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას მათემატიკური მეთოდებით;</p> <p>გ) უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე დამკვიდრებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე;</p> <p>დ) ხელი შეუწყოს მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მქონე სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილებას პროგრამის ფარგლებში არსებული სავალდებულო და არჩევითი კურსების ფართო სპექტრის შეთავაზებითა და დამატებითი სპეციალობის ათვისების შესაძლებლობით.</p>
სწავლის შედეგები	<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>1.1 აქვს ალგებრის, სიმრავლეთა თეორიის და მათემატიკური ლოგიკის თეორიული საფუძვლების და მეთოდების ცოდნა და მათი საშუალებით ახდენს შესაბამისი მათემატიკური პრობლემების და ამოცანების კვლევას და შესწავლას.</p> <p>1.2 ფლობს დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის, დიფერენციალურ განტოლებათა ზუსტ და მიახლოებითი ამოხსნის და ალბათურ-სტატისტიკური მოდელების აგებისა და კვლევის მეთოდებს;</p> <p>1.3 აქვს ტოპოლოგიისა და გეომეტრიის კლასიკური და თანამედროვე მიდგომების გამოყენებით სივრცეთა და გეომეტრიულ ფიგურათა კლასიფიკაციის და კვლევის ძირითადი მეთოდების ცოდნა;</p> <p>1.4 ფლობს პროგრამულ პაკეტებსა და დაპროგრამების ენებს და იყენებს სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა და შედეგების წარმოდგენისათვის;</p> <p>1.5 აცნობიერებს მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებას და მნიშვნელობას, როგორც მათემატიკურ, ისე არამათემატიკურ დარგებში.</p> <p>2. უნარი</p> <p>2.1 მათემატიკური მეთოდების გამოყენებით შეუძლია მათემატიკის და სხვა დარგების კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებული მახასიათებელი მონაცემების</p>

	<p>გამოკვლევა და ანალიზი, მსჯელობის წარმოება და მისგან გამომდინარე სწორი დასკვნების გაკეთება.</p> <p>2.2. აქვს უნარი განახორციელოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტი/ნაშრომი წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად.</p> <p>2.3. შეუძლია შესაბამისი სირთულის მათემატიკური ამოცანების და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი და ზეპირი ანგარიშის მომზადება და გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, კონტექსტის შესაბამისი ფორმით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> <p>3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <p>3.1 შეუძლია მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებიდან საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სფეროს განსაზღვრა და დაუფლება.</p> <p>3.2. შეუძლია სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისათვის მათემატიკის მნიშვნელობის წარმოჩენა და დასაბუთება.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით (მიმდინარე შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა, შუალედური გამოცდა - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა).</p> <p>შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით.</p> <p>გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:</p> <p>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა).</p> <p>სტუდენტის საბოლოო შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. - უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რ.

	<p>ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არის არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლო</p> <p>სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:</p> <p>ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;</p> <p>ბ) შუალედური შეფასების/დასკვნით გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადაულახაობა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას 10 კრედიტის მოცულობით. საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა და ის ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. საბაკალავრო კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შუალედური შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს:</p> <p>ა) საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის შეფასება- 30 ქულა (აფასებს ხელმძღვანელი);</p> <p>ბ) რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა.</p> <p>ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე. დაცვა არის საჯარო. საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია:</p> <p>ა) თემის აკადემიური დონე - 10 ქულა;</p> <p>ბ) პრობლემის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა;</p> <p>გ) დასკვნების არგუმენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა - 10 ქულა;</p> <p>დ) პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომი ითვლება შესრულებულად თუკი ნაშრომის მიმდინარე შეფასებებისა და საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასება შეადგენს 51-დან 100 ქულას.</p> <p>სტუდენტის აკადემიური მოსწრების ზოგადი შეფასებისთვის ბსუ-ში გამოიყენება სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამისი კოეფიციენტის (50 ქულამდე - 0; 51-დან 61-მდე -1.55; 61-დან 71-მდე -2.16; 71-დან - 81-მდე - 2.77; 81-დან 91-მდე - 3.38; 91-ზე მეტი -4) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = (\sum GP \cdot CR) / (\sum CR)$, სადაც GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასების (ქულის) შესაბამის კოეფიციენტს, ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.</p>
საკონტაქტო პირი	<p>ვლადიმერ ბალაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია:</p> <p>ტელეფონი: (+99593) 36 96 09</p>

ელ.ფოსტა: vbaladze@gmail.com

დალი მახარაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი: +995 599 958890

ელ.ფოსტა: dali.makharadze@bsu.edu.ge